ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№–63

ქ. თბილისი; 30 ივნისი, 2020 წ. 14:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)

თინათინ ნიბლოშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე
ალექსანდრე ხუჯაძე
ნინო რუხაძე

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ–ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსი **მარიამ კვერნაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსი **თამარ მელიქიშვილი**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე **დავით ჯაიანი**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი **მარიამ ჩივაძე**

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის - ფრიდონ ინჯიას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხის ცნობის სახით მიღება.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის - გოჩა თევდორაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხის ცნობის სახით მიღება.
3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
4. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „სატრანსპორტო კომპანიას“ შორის „თბილისის მეტროს პროექტთან“ დაკავშირებით ქვესასესხო ხელშეკრულების ხელმოსაწერად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ზურგოვანას“ (ს/კ 402027551) შორის 2019 წლის პირველ მაისს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის N0-459-10-23267 ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
6. ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა, N1-ში (საკადასტრო კოდი N01.15.07.003.068) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
7. „ქალაქ თბილისში,ალექსი გოგრონიძის ქუჩა N25ზ-ში (საკადასტრო კოდი N01.11.17.005.006) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
8. „ქ. თბილისში, მინდელისქუჩა N5, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ცალკეული ფართების საბინაო - სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
9. “ქ. თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, ზემო პლატოს II მიკრორაიონის, კორპუს N19-ში (ნაკვეთი N07/029, საკადასტრო კოდი: 01.19.20.007.029), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზოგიერთი უძრავი ქონების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

10. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივის, მე-6 კვარტალის კორპუს N9-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.030.010.01.040) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

11. „ქალაქ თბილისში, გიორგი ზერიაშვილის ქუჩა N6-ში (საკადასტრო კოდი N:01.19.19.004.033.01.003 და N01.19.19.004.033.01.053) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

12. „ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლება III მიკრორაიონის კორპუსი N27-ის მიმდებარედ არსებული 972 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.08.005.105) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

13. „ქალაქ თბილისში, მარჯანიშვილის ქ. №16, კორპუს 3-ში არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.13.08.007.020.01.028) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

14. „ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს „თბილისი პარკს" (ს/კ 404911789) შორის 2012 წლის 27 მარტს გაფორმებულ ,,მთაწმინდის პარკის გრძელვადიანი იჯარის შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

15. „ქალაქ თბილისში სპორტის სასახლის მიმდებარედ არსებული 66 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.13.033.936) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „თ და კ რესტორნებისთვის" (ს/ნ: 204909180) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

16. ქალაქ თბილისში, ტაბიძის ქუჩა N9-ის მიმდებარედ არსებული 20 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.05.074.018) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „აუსგანგისთვის" (ს/კ: 405147498) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოსმინეს:

1. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის **თავმჯდომარემ ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის - ფრიდონ ინჯიას, პირადი განცხადების საფუძველზე, უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

ბატონმა ლევანმა განმარტა, რომ **24 ივნისს,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **თავმჯდომარეს წარედგინა, ამავე საკრებულოს წევრის - ფრიდონ ინჯიას წერილობითი განცხადება** – საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე მოხსნასთან დაკავშირებით, აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურების უზრუნველსაყოფად, საკითხი დაეწერა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას, რომელიც ადგენს განცხადების ნამდვილობას, გარემოებას, რომელიც დაედო საფუძვლად განცხადებას და შესაბამის დასკვნას წარუდგენს საკრებულოს. აღნიშნული ფაქტის შესახებ ინფორმაციას კი, საკრებულო იღებს ცნობის სახით და აფორმებს საკრებულოს სხდომის საოქმო ჩანაწერით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად გადაწყვიტეს, რომ ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურის წესი დაცულია** და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ უახლოეს სხდომაზე ცნობის სახით უნდა მიიღოს და საკრებულოს სხდომის საოქმო ჩანაწერით გააფორმოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის - **ფრიდონ ინჯიას უფლებამოსილების მ/წლის 25 ივნისიდან შეწყვეტის თაობაზე საკითხი.**

მოისმინეს:

2. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის - **გოჩა თევდორაძის პირადი განცხადების საფუძველზე,** უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

ბატონმა ლევანმა განმარტა, რომ **24 ივნისს,** ქალაქ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს წარედგინა, ამავე საკრებულოს წევრის - გოჩა თევდორაძის წერილობითი განცხადება – საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე მოხსნასთან დაკავშირებით, აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურების უზრუნველსაყოფად, საკითხი დაეწერა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას, რომელიც ადგენს განცხადების ნამდვილობას, გარემოებას, რომელიც დაედო საფუძვლად განცხადებას და შესაბამის დასკვნას წარუდგენს საკრებულოს. აღნიშნული ფაქტის შესახებ ინფორმაციას კი, საკრებულო იღებს ცნობის სახით და აფორმებს საკრებულოს სხდომის საოქმო ჩანაწერით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად გადაწყვიტეს, რომ ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურის წესი დაცულია** და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ უახლოეს სხდომაზე ცნობის სახით უნდა მიიღოს და საკრებულოს სხდომის საოქმო ჩანაწერით გააფორმოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის - **გოჩა თევდორაძის უფლებამოსილების მ/წლის 25 ივნისიდან შეწყვეტის თაობაზე საკითხი.**

მოისმინეს:

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა **მარიამ ჩივაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლმა ამომწურავად ისაუბრა დადგენილების პროექტით გათვალისწინებულ ცვლილებებზე და აღნიშნა, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს **2020 წლის 24 იანვრის №52-10** დადგენილების პირველი მუხლის **„გ" ქვეპუნქტით** დამტკიცებულ **„აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესში"** (დანართი №3) ხდება შემდეგი სახის ცვლილებების შეტანა:

- აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულ მომსახურების ერთეულს კომპლექსური თერაპიის არანაკლებ ერთსაათიან ინდივიდუალურ ან ჯგუფურ სეანსს, **დაემატება სეანსის ალტერნატიული საშუალება - ტელეინტერვენციის (ინდივიდუალური) მოდელი;**
- მოსარგებლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს **ეძლევა სეანსის ტიპის (პირისპირ (ინდივიდუალური ჯგუფური) ან ტელეინტერვენციის მოდელით განხორციელებული სეანსი) არჩევის უფლება;**
- ანგარიშგების ნაწილში კეთდება საგამონაკლისო ჩანაწერი, რითაც ეპიდემიის დროს გაცდენილი სეანსების აღდგენის შესახებ საანგარიშგებო დოკუმენტაცია **წარდგენილი უნდა იქნეს მხოლოდ ქაღალდმატარებლით.**

ქალბატონმა მარიამმა ასევე ხაზი გაუსვა, დადგენილების პროექტის თანახმად, „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესში" შესატან მნიშვნელოვან ცვლილებას, კერძოდ,მე-10 მუხლს ემატება ახალი მე-5 პუნქტი, რაც განმახორციელებელს, ახალი კორონავირუსის ეპიდემიასთან დაკავშირებით, ქვეპროგრამის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, უფლება აძლევს, მიიღოს ამ წესისაგან

განსხვავებული გადაწყვეტილება, მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომპრაქტიკულ საქმიანობაზე დაკვირვებით, ეპიდემიის პირობებში, შესაძლებელია გაუთვალისწინებელი შემთხვევების დადგომა.

მომხსენებელმა თხრობა განაგრძო და აღნიშნა, რომ პროექტის თანახმად, ცვლილებები აგრეთვე ეხება, დადგენილების მოქმედი რედაქციის პირველი მუხლის „ე" ქვეპუნქტით დამტკიცებულ „ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესსა" (დანართი №5) და „ვ" ქვეპუნქტით დამტკიცებულ „ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესში" (დანართი №6), რითაც, ქვეპროგრამით სარგებლობა შეეძლებათ, მერიისათვის განცხადებით მიმართვის დროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირებს, რომლებიც მერიისათვის განცხადებით მიმართვამდე არ ყოფილან რეგისტრირებული საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტში.

ქალბატონ მარიამის თქმით, პროექტის თანახმად, დადგენილების პირველი მუხლის „ზ" ქვეპუნქტით დამტკიცებულ **„გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესში"** (დანართი №8) კი ხდება შემდეგი ცვლილებების განხორციელება:

- ქვეპროგრამით ისარგებლებენ, მერიისათვის განცხადებით მიმართვის დროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირები, რომლებიც განცხადებით მიმართვამდე არ ყოფილან რეგისტრირებული საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტში.
- ვაუჩერის მიღების მიზნით მოსარგებლის განცხადების, თანდართულ დოკუმენტაციას, ემატება/კონკრეტდება მედიკამენტი **„ოკრელიზუმაბით"** მკურნალობის შესახებ, მკურნალობის განმახორციელებელი ექიმის მიერ პირადი ხელმოწერითა და სამკურნალო დაწესებულების ბეჭდით დადასტურებული საბუთი.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა ყურადღება გაამახვილა პროექტით გათვალისწინებული, დადგენილების მოქმედი რედაქციის, პირველი მუხლის **„გ" ქვეპუნქტით** დამტკიცებულ **„აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესში"** განსახორციელებელ ერთ–ერთ მნიშვნელოვან ცვლილებაზე, კერძოდ, ქვეპროგრამის განმახორციელებელისათვის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურისათვის უფლებამოსილების მინიჭებაზე –ახალი კორონავირუსის ეპიდემიასთან დაკავშირებით, ქვეპროგრამის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, მიიღოს ამ წესისაგან განსხვავებული გადაწყვეტილება. ბატონმა ლევანმა აღნიშნა, რომ მითითებული ცვლილება, ხელს შეუწყობს ბენეფიცირებისათვის სრულყოფილი მომსახურების მიწოდებას.

ბატონმა ლევანმა აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია წარმოდგენილი დადგენილების პროექტის პირველი მუხლის „დ" პუნქტში, გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და „ზ" ქვეპუნქტის ნაცვლად, მიეთითოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-10 დადგენილების პირველი მუხლის „თ" ქვეპუნქტი,რომლის შესაბამისადაც არის დამტკიცებული „გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესი" (დანართი №8).

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და **მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ დავით ჯაიანმა,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „სატრანსპორტო კომპანიას" შორის „თბილისის მეტროს პროექტთან" დაკავშირებით ქვესასესხო ხელშეკრულების ხელმოსაწერად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „სატრანსპორტო კომპანიას" შორის „თბილისის მეტროს პროექტთან" დაკავშირებით ქვესასესხო ხელშეკრულების ხელმოსაწერის საკითხზე ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ, თანხმობის გაცემას.

დავით ჯაიანმა ისაუბრა სესხის მიზნობრიობაზე და მიუთითა, რომ საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის **„თბილისის მეტროს პროექტთან დაკავშირებით"** 2020 წლის 29 აპრილს ხელი მოეწერა 75 000 000 (სამოცდათხუთმეტი მილიონი) ევროს ოდენობის სასესხო შეთანხმებას, რომლითაც დედაქალაქში მიმდინარე სატრანსპორტო რეფორმის ფარგლებში, დაგეგმილია, თბილისის მეტროპოლიტენისთვის მოძრავი შემადგენლობის შეძენა, მეტროს დეპოს მშენებლობა/რეკონსტრუქცია და შემაერთებელი გვირაბის რეკონსტრუქციას.

დავით ჯაიანმა აგრეთვე აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მთავრობის შესაბამისი განკარგულების და შესათანხმებლად წარმოდგენილი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის განკარგულების პროექტის თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, სასესხო შეთანხმების საფუძველზე და სასესხო პირობების გათვალისწინებით, თბილისის მუნიციპალიტეტს სასესხო შეთანხმებით გადასცემს 75 000 000 (სამოცდათხუთმეტი მილიონი) ევროს, სასესხო შეთანხმებით, საპროექტო ხელშეკრულებით და პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა ისაუბრა განკარგულების პროექტის მიმართ არსებულ შენიშვნებზე და მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში შემდეგი ნორმების/აქტის მითითება:

- საქართველოს ორგანული კანონის **„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტი,** რომლის თანახმადაც, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია, საქართველოს კანონმდებლობის

შესაბამისად, ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ქ. თბილისის მთავრობას მისცეს თანხმობა სესხის აღებასთან დაკავშირებით.

- ზემოაღნიშნული **მუხლის პირველი პუნქტის "ე" ქვეპუნქტი,** რომლის მიხედვითაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია თბილისის მთავრობის წარდგინებით, მუნიციპალიტეტის სახელით დადებული ხელშეკრულების დამტკიცება, აგრეთვე ისეთი გარიგების დადებაზე თანხმობის გაცემა, რომლის ღირებულება აღემატება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5 პროცენტს.
- "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას" შორის „თბილისის მეტრო პროექტთან" დაკავშირებით ქვესასესხო ხელშეკრულების ხელმოსაწერად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის **2020 წლის 10 ივნისის N 20.595.747** განკარგულება.

კომისიის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია, პროექტის სათაურში სიტყვა „მიღების" შეიცვალოს სიტყვით „მიცემის", ასევე, პირველ პუნქტში მიეთითოს ქალაქ თბილისის მთავრობის შესაბამისი განკარგულება და ხელშეკრულების პროექტით განსაზღვრული სესხის ოდენობა, ხოლო, განკარგულების პროექტი ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ–ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა **მარიამ კვერნაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი„„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ზურგოვანას" (ს/კ 402027551) შორის 2019 წლის პირველ მაისს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის N9-459-10-23267 ხელშეკრულებით" გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ქალბატონმა მარიამმა დეტალურად ისაუბრა განკარგულების პროექტთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან გარემოებებზე და აღნიშნა, რომ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმისა და სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ზურგოვანას" შორის გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „ზურგოვანას" საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩა მე-2 კვ, I კორპუსის მიმდებარედ 3013 კვ.მ მიწის ნაკვეთი, საპრივატიზებო საფასურის – 785,855. 00 (შვიდას ოთხმოცდახუთი ათას რვაას ორმოცდათხუთმეტი) ლარის სანაცვლოდ, **შემდეგი შეზღუდვით - „უძრავი ქონების**

სამშენებლო განვითარება განხორციელდეს მიმდინარე არეალზე განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში".

ქალბატონმა მარიამმა მიუთითა, რომ აღნიშნულმა კომპანიამ განცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, მიწის ნაკვეთზე არსებული შეზღუდვის მოხსნასთან დაკავშირებით,რაც განსახილველად ასევე წარედგინა სსიპ – ურბანული განვითარების სამსახურს, რომელმაც განცხადებაში დასმულ საკითხთან დაკავშირებით, გასცა შემდეგი მოსაზრება/პოზიცია:

- „დედაქალაქისმიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის მიხედვით, მითითებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.17.14.003.706) ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ–6);
- მითითებული მიწის ნაკვეთის ინდივიდუალურად სამშენებლო განვითარების შემთხვევაში, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და მისასვლელი გზების გაფართოების მიზნით, აუცილებელია საკადასტრო ერთეულის დასავლეთ ნაწილზე განხორციელდეს ზონის ცვლილება – საცხოვრებელი ზონა 6 შეიცვალოს სატრანსპორტო ზონა 1–ით, რაზედაც სამსახურში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება – მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების მოთხოვნა 10.03.20 წლის #01200702950-67 განაცხადის საფუძველზე.
- ფუნქციური ზონის ცვლილების შემთხვევაში, სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია მითითებული მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება მოხდეს ინდივიდუალურად, განაშენიანების რეგულირების გეგმის გარეშე. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ კი არ მოხდება აღნიშნული ზონის ცვლილება, მოქმედი ფუნქციური ზონით (სზ-6) სამშენებლო განვითარებისას, აუცილებელია 01.17.14.003.706 საკადასტრო ერთეულის დასავლეთ ნაწილი გამოყენებულ იქნას მისასვლელი გზის გაფართოების მიზნობრიობით.

მომხსენებელმა განაგრძო თხრობა და აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, N01.17.14.003.706 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილების საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

მარიამ კვერნაძემ ასევე ისაუბრა, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შესაბამის წერილობით პოზიციაზე და მიუთითა შემდეგი: გამომდინარე იქიდან, რომ ექსპერტიზის ბიუროსათვის წინასწარ უცნობია ვალდებულების - „უძრავი ქონების სამშენებლო განვითარება განხორციელდეს მიმდინარე არეალზე განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში" არსებობა დადებითად იმოქმედებდა თუ არა აღნიშნული მიწის ნაკვეთის რეალიზაციაზე, ბიუროს დასკვნით, დაფიქსირებულ ღირებულებაში არ გამოიწვევდა ცვლილებას, იმ შემთხვევაშიც თუ მოთხოვნილი იქნებოდა აღნიშნული პირობით შეფასება და მიწის ნაკვეთი შეფასდებოდა არსებული ფუნქციური ზონის (სზ-6) გათვალისწინებით.

მომხსენებელმა დასასრულს მიუთითა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ზურგოვანას" შორის 2019 წლის პირველ მაისს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის N-459-10-23267 ხელშეკრულების „ბ" პუნქტით გათვალისწინებული პირობის - ,,შეზღუდვა „უძრავი ქონების სამშენებლო განვითარება განხორციელდეს მიმდინარე არეალზე განაშენიანების

რეგულირების გეგმის ფარგლებში'' გაუქმების შესახებ საკითხის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრმა ნინო რუხაძემ შეკითხვით მიმართა მომხსენებელს მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით, დაინტერესებული კომპანიის სამომავლო გეგმებზე.

ქალბატონმა მარიამ გამოთქვა ვარაუდი და აღნიშნა, რომ შესაძლებელია იყოს დაგეგმილი მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება.

კომისიის თავმჯდომარემ, განკარგულების პროექტით წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით ხაზი გაუსვა მნიშვნელოვან გარემოებას– პროექტი დამტკიცების შემთხვევაში არ მოახდენს უარყოფით ფინანსურ გავლენას დედაქალაქის ბიუჯეტზე.

ბატონმა ლევანმა დაამატა, რომ განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიზანშეწონილია, მიეთითოს „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-72 დადგენილებით დამტკიცებული წესის24-ე მუხლის მე-9 პუნქტი,რომლის თანახმადაც, ქალაქ თბილისის მთავრობა განიხილავს თბილისის ქონების შემძენი, სარგებლობის უფლებით მიმღები ან მართვის უფლებით მიმღები პირის მიმართვას და საჯარო და კერძო ინტერესების გათვალისწინებით, დასაბუთებული აუცილებლობის შემთხვევაში, აუქციონის ფორმით პრივატიზებულ, სარგებლობის უფლებით გადაცემულ ან მართვის უფლებით გადაცემულ თბილისის ქონებასთან დაკავშირებული პირობის (პირობების) (გარდა ფინანსური და საინვესტიციო პირობისა (პირობებისა)) შეცვლის ან გაუქმების შესახებ წინადადებას გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგენს თბილისის საკრებულოს.

ბატონმა ლევანმა აგრეთვე მიუთითა, რომ მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის მე–2 მუხლი გაიმართოს სტილისტური/ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **თამარ მელიქიშვილმა,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა, N1-ში (საკადასტრო კოდი N01.15.07.003.068) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

თამარ მელიქიშვილმა ისაუბრა, საკითხთან დაკავშირებული დეტალების შესახებ და მიუთითა, რომ მოქალაქეებმა: **ნინელი მებაღიშვილმა და ნანული ჯამალაშვილმა** განცხადებებით მიმართეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგეობას და ითხოვეს მათ მიერ დაკავებული ინიდივიდუალური საცხოვრების ფართების, მდებარე: ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა, N1-ში მდებარე **71,76კვ.მ** ფართის ბინის **და 72,22 კვ.მ** ფართის ბინის სიმბოლურ ფასად – 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევა.

მომხსენებელმა ცხოვრების ფაქტთან დაკავშირებით მიუთითა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს მიერ გაცემული დოკუმენტით დასტურდება, მოქალაქე ნინელი მებაღიშვილის მიერ, დაინტერესებაში არსებულ უძრავ ქონებაში ოჯახთან ერთად 30 (ოცდაათი) წლის, ხოლო, მოქალაქე ნანული ჯამალაშვილის შემთხვევაში, ოჯახთან ერთად 15 (თხუთმეტი) წლის განმავლობაში ცხოვრების ფაქტი. აგრეთვე დასძინა, რომ ცხოვრების ფაქტთან დაკავშირებით, არსებობს როგორც გამგეობის საუბნო სამსახურის მიერ შედგენილი ოქმები, ასევე, მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობა.

ქალბატონ თამარის მითითებით, სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული დოკუმენტაციის მიხედვით, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში, ნინელი მებაღიშვილის, ნანული ჯამალაშვილისა და მათი ოჯახის წევრების სახელზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

მომხსენებელმა აგრეთვე აღნიშნა, რომ მთაწმინდის რაიონის გამგეობამ წერილობით მიმართა ქალაქ თბილისის მერს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან შუამდგომლობის მიზნით, მოქალაქეების დაინტერესებაში არსებული, სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირებული უძრავი ქონების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადმოცემისა და მოქალაქეთათვის სიმბოლური ფასის – (ერთი) ლარის სანაცვლოდ გადაცემის მიზნით, აღნიშნული ღონისძიებების უზრუნველყოფის შემდეგ კი, **ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია,** საკითხის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარის მოსაზრებით, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის სათაურში ჩაემატოს სიტყვა „შეთანხმების", პირველ პუნქტში მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური, პროექტის მე–2 მუხლი გასწორდეს სტილისტული თვალსაზრისით, ხოლო, განკარგულების პროექტი ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7.იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს მიმართა, დამტკიცებული დღის წესრიგის რიგით მე–7 საკითხის – „ქალაქ თბილისში,ალექსი გობრონიძის ქუჩა N25ბ-ში (საკადასტრო კოდი N01.11.17.005.006) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის გადადების საკითხზე მსჯელობის ინიციატივით, აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის დამატებით შესწავლისა და შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებების დაზუსტების მიზნით.

ამასთან, ბატონმა ლევანმა ხაზი გაუსვა, იმ გარემოებას, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის მიერ, მითითებული საკითხის სხდომაზე განხილვის შემდგომ, დასკვნის სახით მიღებულ იქნა სარეკომენდაციო გადაწყვეტილება, განკარგულების პროექტის გადადებაზე, ორი პირის ნაწილში, დამატებითი გამოკვლევის მიზნით.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა იმსჯელეს და ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტის გადადების საკითხს.

მოისმინეს:

8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **თამარ მელიქიშვილმა,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, „ქ. თბილისში, მინდელის ქუჩა N5, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ცალკეული ფართების საბინაო - სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, მინდელის ქუჩა N5 (ს/კ №:01.14.01.007.075) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საბინაო - სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის: **ანა სარიშვილისთვის – 109.13კვ.მ, ნაირა მაყიშვილისთვის – 85.9კვ.მ, გულიკო ტორაძისთვის– 63.23კვ.მ და ციური მათიაშვილისთვის – 48.98კვ.მ** პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხთან დაკავშირებით ქ. თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

ქალბატონმა თამარმა ისაუბრა საკითხის შესახებ და აღნიშნა, რომ ქ. თბილისის ვაკის რაიონის გამგეობასგანცხადებით მიმართეს **ანა სარიშვილმა, ნაირა მაყიშვილმა, ციური მათიაშვილმა, გულიკო ტორაძემ და განაცხადეს,** რომ წარმოადგენენ ყოფილი N626 კოოპერატივის წევრებს, მათი ბინების მშენებლობა არ განხორციელებულა და 1997 წელს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შესახლებული იქნენ ქ. თბილისში მინდელის ქუჩა №5-ში სამინისტროს ბალანსზე რიცხულ შენობაში, ამასთან, ითხოვეს, მათ მიერ დაკავებული ფართების, ანა სარიშვილი შემთხვევაში საერთო ჯამში – 109, 13 კვ.მ, ნაირა მაყიშვილის–საერთო ჯამში 85,9 კვ.მ, გულიკო ტორაძე- 63.23კვ.მ, ხოლო ციური მათიაშვილი–48.98 კვ.მ **საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევა.**

მომხსენებელმა ასევე ხაზგასმით აღნიშნა შემდეგი მნიშვნელოვანი გარემოებები:

- ფინანსთა სამინისტროს მიერ სააგენტოსთვის მიწოდებული დოკუმენტაციისა და მონაცემთა ბაზის ანალიზის საფუძველზე, **აღნიშნული პირები წარმოადგენენ ყოფილი №626 კოოპერატივის წევრებს, მათ მიერ სრულად გადახდილია საპატიო შენატანი,** თუმცა მათთვის განკუთვნილი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა არ განხორციელებულა;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის II განყოფილების წერილით დასტურდება, რომ აღნიშნული პირები ქ. თბილისში, მინდელის ქ. N5-ში არსებულ შენობაში ცხოვრობენ 1997 წლიდან. იგივე დასტურდება ნოტარიულად დამოწმებული მოწმეთა ჩვენებებით.
- სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს წერილით, აღნიშნული პირები რეგისტრირებული არ არიან დევნილის სტატუსით, ხოლო, სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, მითითებულ მოქალაქეებზე და მათი ოჯახის წევრებზესაკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ფინანსთა სამინისტროს მიერ სააგენტოსათვის მიწოდებული დოკუმენტაციის თანახმად, ანა სარიშვილის მიერ, კოოპერატიული ბინათმშენებლობის შედეგად მისაღების აცხოვრებელი ფართი შეადგენდა 113 კვ.მ-ს, ნაირა მაყიშვილის– 89,2 კვ.მ-ს, გულიკო ტორაძის– 63 კვ.მ-ს, ხოლო ციური მათიაშვილის – 63 კვ.მ-ს. ამასთან მიუთითა, რომ **აღნიშნული პირების მიერ წარდგენილ იქნა ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა, რითაც, განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, უარს აცხადებენ მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე.**

თამარ მელიქიშვილმა აღნიშნა, რომ ვაკის რაიონის გამგებელმა წერილობითი შუამდგომლობით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული პირებისათვის, მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული, ქ. თბილისში, მინდელის ქ. N5-ში მდებარე უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად გადაცემასთან დაკავშირებით.

მომხსენებელმა დაამატა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია, დაინტერესებული პირებისათვის უძრავი ქონების სიმბოლური ფასის – 1 (ერთი) ლარის სანაცვლოდ გადაცემის საკითხის ქ. თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა, შემდეგი საპრივატიზებო პირობით: სააგენტოს მიერ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის სანაცვლოდ, ქონების შემძენი სრულად ამბობს უარს მის მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებაზე, მოთხოვნაზე, ინტერესსა ან/და პრეტენზიაზე, სააგენტოს, საქართველოს სახელმწიფოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ან/და ნებისმიერი ორგანოს წინაშე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, განკარგულების პროექტის სათაურში მიეთითოს პრივატიზებას დაქვემდებარებული უძრავი ქონების საკადასტრო კოდი, ასევე გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი, როგორც პროექტის სათაურში, ასევე, პირველ პუნქტში და განკარგულების პროექტი ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **თამარ მელიქიშვილმა,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, "ქ. თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, ზემო პლატოს II მიკრორაიონის, კორპუს N19-ში (ნაკვეთი N07/029, საკადასტრო კოდი: 01.19.20.007.029), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზოგიერთი უძრავი ქონების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ქალბატონმა თამარმა აღნიშნა, რომ ქ. თბილისის სამგორის რაიონის გამგეობას წარედგინა, ვარკეთილი ზემო პლატო, მე-2 მ/რ. კორპუს 19, ბინა №2 დაბინა №3-ში მცხოვრები, არადევნილის სტატუსის მქონე მოქალაქეების გივი ალადაშვილისა და მაია ლიპარტელიანის განცხადებები და როგორც კოოპერატიული ბინათმშმენებლობის შედეგად დაზარალებულმა პირებმა მოითხოვეს მათ სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი იზოლირებული ფართების, სიმბოლურ ფასად, საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევა.ასევე დასძინა, რომ გამგეობამ იშუამდგომლა სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს წინაშე მითითებული პირებისათვის, მათ სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი ფართების ერთ ლარად პრივატიზების თაობაზე;

დაინტერესებაში არსებულ უძრავ ქონებაში ცხოვრების ფაქტის ნამდვილობასთან დაკავშირებით, მომხსენებელმა მიუთითა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის I განყოფილების წერილით, მისამართზე - ქ. თბილისში ვარკეთილის ზემო პლატო, მე–2 მ/რ, კორ–19-ში არსებული ფართებით ნამდვილად სარგებლობენ, მოქალაქე მაია ლიპარტელიანი ბინა N3-ით – 2002 წლიდან და მოქალაქე გივი ალადაშვილი ბინა N2-ით – 2002 წლიდან, რაც ასევე, დასტურდება ნოტარიულად დამოწმებული მოწმეთა ჩვენებებით;

თამარ მელიქიშვილმა აღნიშნა, რომ უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებულმა აღნიშნულმა პირებმა წარადგინეს სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობები, რითაც ადასტურებენ, რომ განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, უარს აცხადებენ მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე;

მომხსენებელმა დასასრულს დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმსჯელა და გადაწვიტა, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებისთვის - გივი

ალადაშვილისთვის და მაია ლიპარტელიანისთვის, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ გადაცემის თაობაზე საკითხის, ქ. თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაურში ჩაემატოს სიტყვები „და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების", პირველ პუნქტში სწორი ფორმით მიეთითოს ქალაქ თბილისის მთავრობის 2020წლის17 ივნისის № 20.613.782 განკარგულება, ხოლო, მე–2 მუხლი გასწორდეს სტილისტური/ტექნიკური თვალსაზრისით, ხოლო, პროექტი ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **თამარ მელიქიშვილმა,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, „ქალაქ თბილისში,ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივის, მე-6 კვარტალის კორპუს N9-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.030.010.01.040) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა თხრობის დასაწყისში აღნიშნა, რომ სამგორის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე ინგა ცაკაშვილმა და ითხოვა, მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქ თბილისი, ვარკეთილის დასახლება, მე-3 მასივი, მე-6 კვარტალი, კორპუსი N9 მე-4სართ. ბინა N40 (საკადასტრო კოდი: 01.19.20.030.010.01.040) 21.03 კვ.მ საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევა, ხოლო, აღნიშნული მოთხოვნის შესაბამისად, სამგორი რაიონის გამგეობამ რეკომენდაციით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს.

დაინტერესებაში არსებულ უძრავ ქონებაში ცხოვრების ფაქტის ნამდვილობასთან დაკავშირებით, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის I განყოფილების წერილით, ინგა ცაკაშვილი ოჯახთან ერთად, 2002 წლიდან ცხოვრობს ზემომითითებულ უძრავ ქონებაში, აღნიშნულს ასევესანოტარო წესით დამოწმებული დოკუმენტით, ადასტურებენ მოქალაქეები: ლიანა ხარებავა დაივეტა პერტახია.

ქალბატონმა თამარმა მიუთითა, რომ სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ინგა ცაკაშვილსა და მისი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, რეგისტრირებული არ არის, ხოლო, ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია,მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლური ფასის – 1 (ერთი) ლარის სანაცვლოდ პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ პროექტის სათაურში ტექნიკური ხარვეზის გასწორების, პროექტის პირველ პუნქტში საპრივატიზებო საფასურის მითითებისა და მე–2 მუხლის სტილისტურად გასწორების შემდეგ, განკარგულების პროექტი ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **თამარ მელიქიშვილმა,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, გიორგი ბერიაშვილის ქუჩა N6-ში (საკადასტრო კოდიN01.19.19.004.033.01.003 და N01.19.19.004.033.01.053) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა ისაუბრა საკითხთან დაკავშირებულ დეტალებზე და აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქეებმა:**გიორგი ბასილაიამ და თამარ ხატიაშვილმა,** მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ინიდივიდუალური საცხოვრებელი ფართების, მდებარე: ქალაქი თბილისი, გიორგი ბერიაშვილის ქუჩა N6-ში,**71.77 კვ.მ და 21.85 კვ.მ ფართების** პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - **1 (ერთი) ლარად** პრივატიზებასთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევა.

ქალბატონმა თამარმა, ცხოვრების ფაქტის ნამდვილობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს წერილით, მოქალაქე **გიორგი ბასილაიას – 2007 წლიდან,** ხოლო, **თამარ ხატიაშვილის – 2008 წლიდან ნამდვილად ცხოვრობენ ზემომითითებულ მისამართზე,** აღნიშნულს აგრეთვე ადატურებენ, მეზობლები სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობებით.

მომხსენებელმა აღნიშნა ის გარემოებაც, რომ სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, **გიორგი ბასილაიას, თამარ ხატიაშვილს** დაასევე, მათი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე **რეგისტრირებული არ არის.**

დასასრულს მომხსენებელმა დაამატა, რომ სამგორის რაიონის გამგებელმა წერილობითი შუამდგომლობით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს და თხოვა, არადევნილის სტატუსის მქონე ორ ოჯახს - გიორგი ბასილაიასა და თამარ ხატიაშვილსათვის, მრავალი წლის მანძილზე დაკავებული უძრავი ქონების სიმბოლური ფასის – 1 (ერთი) ლარის სანაცვლოდ, პრივატიზებასთან დაკავშირებით. თავის მხრივ, **ქ. თბილისის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქ. თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.**

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტში არსებულ ხარვეზებზე და აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია, სათაურში ჩაემატოს სიტყვები „საკითხის შეთანხმების", განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური და ტექნიკური თვალსაზრისით გასწორდეს, როგორც პროექტის პირველი პუნქტი, ასევე, მე–2 მუხლი, ხოლო, განკარგულების პროექტი ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **თამარ მელიქიშვილმა,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლება III მიკრორაიონის კორპუსი N27-ის მიმდებარედ არსებული 972 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.08.005.105) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, მოქალაქე მაიას ნიკოლაძის წარმომადგენელმა მაია ჩიბურდანიძემ განცხადებებით მიმართა ქ. თბილისის მერიას და **ითხოვა მაია ნიკოლაძის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში მდებარე 1100 კვ.მ მიწის ნაკვეთის მონაცვლეობა,** ვინაიდან,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცებამდე მიწის ნაკვეთზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5) და სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), ხოლო, ახალი გენერალური გეგმით მის უმეტეს ნაწილს მიენიჭა სარეკრეაციო ზონა 1(რზ-1) და ნაწილს საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3).

ქალბატონ თამარის მითითებით, სიპ – ქონების მართვის სააგენტო არ არის წინააღმდეგი **№01.10.08.005.105** საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს დაუდგინდეს სამშენებლოდ გამოყენების პარამეტრები;

მომხსენებელმა აგრეთვე აღნიშნა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ შეფასებულ იქნა მიწის ნაკვეთები შემდეგი სახით:

- **№01.10.08.005.105** საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება საორიენტაციოდ განისაზღვრა 288 684 ლარის ოდენობით, 2019 წლის 9 ოქტომბრის მდგომარეობით. (ფუნქციური ზონა - საცხოვრებელი ზონა 6 (სზ - 6).
- **№01.72.14.038.058**საკადასტრო ერთეული შეფასდა 2019 წლის 23 ოქტომბრის დასკვნით 2014-2018 წლებში არსებული ფუნქციური ზონით საცხოვრებელი ზონა 6-ის სტატუსით. საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 77 000 აშშ დოლარის ოდენობით, რაც შეფასების პერიოდის გაცვლითი კურსით ეროვნულ ვალუტაში შეადგენდა 228 698 ლარს.

დასასრულს, თამარმა მიუთითა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა, უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის – 58 000 (ორმოცდათვრამეტი ათასი) ლარის სახით, რომლის გადახდა განხორციელდება შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან სამი თვის ვადაში.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა, პროექტთან დაკავშირებით არსებულ შენიშვნებზე, განკარგულების პირველ პუნქტში საპრივატიზებო საფასურის მითითებისა და მე–2 მუხლში ტექნიკური ხარვეზის გამოსწორების მიზანშეწონილობაზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **თამარ მელიქიშვილმა,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქთბილისში, მარჯანიშვილის ქ. №16, კორპუს 3-ში არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.13.08.007.020.01.028) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მოქალაქე გივი გაჩეჩილაძე, საცხოვრებელი სახლით დაკმაყოფილების მიზნით, იმყოფებდა აღრიცხვაზე და მარჯანიშვილის თეატრის დაფინანსებით, უზნაძის ქ. №4-ში (მარჯანიშვილის 16) მშენებარე სახლში, მისთვის განკუთვნილი იყო ერთი სამოთახიანი ბინა, თუმცა, სამშენებლო ფირმა „ზევსი-777"-ის მიერ მარჯანიშვილის და უზნაძის ქუჩების გადაკვეთაზე საცხოვრებელი კორპუსების აშენების შემდგომ, პრობლემები შეექმნა ბინის ორდერთან დაკავშირებით, სასამართლო დავის შემდეგ დაუბრუნდა მას ერთოთახიანი ბინის ორდერი, რის გამოც ვერ გაიუმჯობესა საბინაო პირობები, ამას დაემატა ის გარემოება, რომ დაზარალდა კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით - დაკარგა კომპანია „კავუნიტექსში" შეტანილი თანხა;

მომხსენებელმა განაგრძო თხრობა და აღნიშნა, რომ გივი გაჩეჩილაძის საცხოვრებელი პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით, თბილისის მერის სახელზე წარდგენილ იქნა კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის წერილობითი მიმართვა/შუამდგომლობა, ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური საკითხის დადებითად გადაწყვეტას ემხრობოდა შესაბამისი წერილობითი პოზიციით.

მომხსენებელმა მიუთითა, რომ შპს „ზევსი 777"-ის მიერ გაასაჩივრებული იყო, გივი გაჩეჩილაძისთვის გადასაცემად განისაზღვრული, ქალაქ თბილისში, მარჯანიშვილის ქ. №16, კორპუს 3-ში არსებული №28 ბინისა და სხვა ფართების ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად რეგისტრაცია, თუმცა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა კომპანიის სარჩელი, ხოლო, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება;

მომხსენებელმა დასასრულს განმარტა, რომ განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, გივი გაჩეჩილაძისთვის ქალაქ თბილისში, მარჯანიშვილის ქ. №16, კორპუსი 3-ის მე-8 სართულზე არსებული 57.40 კვ.მ. ფართობის ბინა №28-ის სიმბოლურ ფასად – 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენას.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სასურველია, პროექტის მე–2 მუხლი გაიმართოს ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნის**

გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ–ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა **მარიამ კვერნაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს „თბილისი პარკს" (ს/კ 404911789) შორის 2012 წლის 27 მარტს გაფორმებულ „მთაწმინდის პარკის გრძელვადიანი იჯარის შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე"ქ. თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს „თბილისი პარკს" შორის 2012 წელს გაფორმებული ხელშეკრულებით, შპს „თბილისი პარკს" 49 წლის ვადით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაეცა მიწის ნაკვეთები, მათზე მდგარი შენობებით და მათ ქვეშ არსებული საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურით და **ხელშეკრულების 7.1.3 „ა" ქვეპუნქტის თანახმად,** მეიჯარემ იკისრა ვალდებულება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბაგირო გზის, ექსპლუატაციაში მიღება და საბოლოოდ მოიჯარისთვის გადაცემა უზრუნველეყო არაუგვიანეს 2014 წლის 1 ივნისამდე, ხოლო, **ხელშეკრულების 1.2.3 ქვეპუნქტით კი განისაზღვრა,** რომ ხელშეკრულებით თავდაპირველად განსაზღვრული საბაგირო გზის ქვედა სადგურის ან/და საბაგიროს გზის ფუნქციონირებისთვის განკუთვნილი საჭირო ბოძების ადგილმდებარეობის შეცვლის შემთხვევაში, მეიჯარე ვალდებულია დასახელებული საბაგირო გზის ქვედა სადგურის ან/და ბოძების ნაცვლად, საიჯარო ქონების სახით მოიჯარეს იჯარით გადასცეს ახლადაშენებული სადგური ან/და დამონაჟებული ბოძები, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მათი ფუნქციონირების დაწყებისთანავე, საიჯარო ქირის ოდენობის შეუცვლელად.

ქალბატონმა მარიამმა აღნიშნა, რომ დღეის მდგომარეობით, მოიჯარეს მეიჯარისთვის ხელშეკრულების ფარგლებში (წინასწარი) საიჯარო ქირის სახით **გადახდილი აქვს 20,173,967.20 ლარი** (9,081,849.08 ევროს ეკვივალენტი ლარში გადახდების განხორციელების დროისათვის იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გაცვლითი კურსით), აქედან, საბაგირო გზის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციისათვის - 8,986,945.35 ლარი, თუმცა, მეიჯარის მიერ, ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში არ განხორციელებულა საბაგირო გზის რეაბილიტაცია/რეკონსტრუქცია, ექსპლუატაციაში მიღება და საბოლოოდ მოიჯარისთვის გადაცემა, რის გამოც მოიჯარემ მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს,

მომხსენებელმა განაგრძო თხრობა და აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მერიის მიერ წარდგენილ იქნა შეგებებული სარჩელი, სასარჩელო მოთხოვნით - შპს „თბილისი პარკს" მეიჯარის სასარგებლოდ დაეკისროს პირგასამტეხლოსა და ხელშეკრულებიდან გამომდინარე სხვა გარკვეული თანხების გადახდა, თუმცა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის 2019 წლის 10 ივნისს სასამართლო გადაწყვეტილებით, არცერთი მხარის სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა და გადაწყვეტილება ორივე მხარის მიერ

გასაჩივრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში, რაზეც დღეის მდგომარეობით მიმდინარეობს სასამართლო წარმოება.

მომხსენებელმა დასძინა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მეიჯარის მიერ შეცვლილ იქნა საბაგირო გზის ქვედა სადგურის მდებარეობა და დადგენილ იქნა მისი ახალი მდებარეობა შემდეგი საკადასტრო ერთეულებით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე: ს/კ: 01.15.05.003.080; 01.15.05.003.085; 01.15.05.003.090, რამაც გამოიწვია ს/კ: 01.15.05.003.008 მიწის ნაკვეთზე რეგისტრირებული ინდივიდუალური მესაკუთრეებისაგან ფართების გამოსყიდვის აუცილებლობა. დღეის მდგომაროებით, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" მიერ გაფორმებულია უძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულებები ს/კ: 01.15.05.003.008 მიწის ნაკვეთზე განთავსებულ ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართების შესაბამისი მესაკუთრეებთან, მათი საკუთრების გამოსყიდვის მიზნით, ამავე ხელშეკრულებებით განსაზღვრული პირობებით.

მარიამმა დაამატა, რომ ზემოხსენებული სასამართლო დავის მორიგებით დასრულებისა და საბაგირო გზის პროექტის განხორციელების მიზნით, მეიჯარესა და მოიჯარეს შორის წარმოებული მოლაპარაკებების შედეგად, მხარეები შეთანხმდნენ, დადონ წინამდებარე განკარგულებით წარმოდგენილი შეთანხმება ხელშეკრულებაში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის თაობაზე, შემდეგი პირობებით:

- იჯარის ხელშეკრულებით განსაზღვრული საბაგიროს გზის ქვედა სადგური განთავსდება და საიჯარო ქონებას წარმოადგენს 01.15.05.003.080; 01.15.05.003.085; 01.15.05.003.090 და 01.15.05.003.008 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონების ის ნაწილი, რომელზეც ფაქტობრივად განთავსდება საბაგირო სადგურის სათავე ნაგებობა/ინფრასტრუქტურა და ასევე, საბაგირო გზის ბოძების განსათავსებელად საჭირო სხვა შესაბამისი უძრავი ქონება, რომელზეც ფაქტობრივად განთავსდება საბაგირო სადგურის შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

- საბაგირო გზის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის, ექსპლუატაციაში მიღებისა და მოიჯარისთვის გადაცემის ხელშეკრულებით განსაზღვრული **ვადა** გაგრძელდება და განისაზღვრება განკარგულებით წარმოდგენილი **შეთანხმების ძალაში შესვლიდან 24 თვით.**

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა მოიჯარეს მიერ ნაკისრ ვალდებულებას – ინდივიდუალური მესაკუთრისაგან შესაბამისი ფართის, მდებარე ქ. თბილისში, გაბაშვილის N6, გამოსყიდვის მიზნით, ქალაქ თბილისის მერიის სანაცვლოდ (სასარგებლოდ) ინდივიდუალურ მესაკუთრეს გადაუხადოს, მოიჯარეს, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა" და შესაბამის ინდივიდუალურ მესაკუთრეს შორის სამმხრივი უძრავი ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

ქალბატონმა მარიამმა განაგრძო თხოვრობა და განმარტა, რომ მხარეები თანხმდებიან, რომ ამ განკარგულებით წარმოდგენილი შეთანხმების საფუძველზე შეწყდება სასამართლო დავა

(როგორც სარჩელის, ასევე, შეგებებული სარჩელის ნაწილში), ისინი უარს ამბობენ დავის ფარგლებში ყველა სახის მოთხოვნასა და უფლებაზე, მათ შორის, ნებისმიერი სახის ზიანის, ზარალის, პირგასამტეხლოსა და მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების თაობაზე და მათ არ აქვთ უფლება ხელმეორედ მიმართონ სასამართლოს დავაზე იმავე მხარეებს შორის, არსებითად იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით, გარდა ამ შეთანხმების მე-9 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა. ამასთან, მოიჯარე აცხადებს და ადასტურებს, რომ შეთანხმებაზე ხელმოწერით უარს ამბობს, არ აქვს და არ წარმოეშობა მეიჯარის მიმართ შეთანხმების გაფორმებამდე იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებით რაიმე სახის მოთხოვნის უფლება, გარდა მხოლოდ იმ შემთხვევისა, თუ მეიჯარე დაარღვევს შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებას საბაგირო გზის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის, ექსპლუატაციაში მიღებისა და მოიჯარისთვის გადაცემის შესახებ. თუმცა, აღნიშნული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მოიჯარე უფლებამოსილია ხელახლა მიმართოს სასამართლოს იმავე საქმეზე დავის საგნით განსაზღვრული თანხის მეიჯარისათვის დაკისრების მოთხოვნით, ხოლო მეიჯარე, თავის მხრივ, უფლებამოსილია ხელახლა მიმართოს სასამართლოს შეგებებული სარჩელით დავის საგნით განსაზღვრული თანხის მოიჯარისათვის დაკისრების მოთხოვნით.

მარიამმა აღნიშნა, რომიმ შემთხვევაში, თუ მეიჯარე ვერ შეასრულებს საბაგირო გზის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის, ექსპლუატაციაში მიღებისა და მოიჯარისთვის გადაცემის ვალდებულებას შეთანხმებით განსაზღვრულ ვადაში, მოიჯარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს იჯარის ხელშეკრულება საბაგირო გზის ნაწილში და მოითხოვოს შეთანხმებით გათვალისწინებული თანხების გადახდა სრულად. კერძოდ, ზემოაღნიშნული საფუძვლით მოიჯარის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, **მეიჯარე მოიჯარეს გადაუხდის/დაუბრუნებს მის მიერ საიჯარო ქირის სახით წინსწრებით გადახდილ 3,986,713.62 ევროს ეკვივალენტს ლარში,** გადახდის დღისთვის არსებული ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსის შესაბამისად და ინდივიდუალური მესაკუთრისაგან ფართის გამოსყიდვის მიზნით მესაკუთრისათვის მერიის სასარგებლოდ (სანაცვლოდ) გადახდილ თანხას, მოიჯარის მიერ წერილობითი მოთხოვნის წარდგენიდან ერთი თვის ვადაში. ამასთან, ასეთ შემთხვევაში, მოიჯარის მიმართვის საფუძველზე, სასამართლო გასცემს სააღსრულებო ფურცელს აღნიშნული თანხების მოიჯარის სასარგებლოდ მეიჯარისათვის დაკისრების შესახებ.

მოხსენების დასასრულს მარიამმა მიუთითა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ქ. თბილისის მთავრობის მიერ, საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენილია, თბილისის მთავრობასა და შპს „თბილისი პარკს" შორის 2012 წლის 27 მარტს გაფორმებულ მთაწმინდის პარკის გრძელვადიანი იჯარის შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის საკითხი.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარის მოსაზრებით, განკარგულების პროექტის სამართლებრივი საფუძვლებიდან ამოღებულ უნდა იქნას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 75-ე მუხლის „დ.ლ" პუნქტი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ–ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა **მარიამ კვერნაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში სპორტის სასახლის მიმდებარედ არსებული 66 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.13.033.936) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „თ და კ რესტორნებისთვის" (ს/ნ: 204909180) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, შპს „თ და კ რესტორნებს", ქალაქ თბილისში, სპორტის სასახლის მიმდებარედ არსებული 86 კვ.მ მიწის ნაკვეთი გადაეცა, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 5 (ხუთი) წლის ვადით, ღია კაფის განთავსების მიზნით,", საიჯარო ქირის წლიური საფასურის – 20 640 (ოცი ათას ექვსას ორმოცი) ლარის ოდენობით. ასევე დასძინა, რომ შპს „თ და კ რესტორნების" დირექტორმა მომართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და დამატებით ითხოვა ქალაქ თბილისში, სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 66 კვ.მ (საკადასტრო კოდი: N01.10.13.033.936) მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით იჯარით გადაცემა.

მომხსენებელმა ასევე ისაუბრა შემდეგ მნიშვნელოვან დეტალებზე:

- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოსასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 66 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2020 წლის 12 ივნისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ **განისაზღვრა 15 840 (თხუთმეტი ათას რვაას ორმოცი) ლარით.**
- სსიპ- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურისსამსახურს შესაძლებლად მიაჩნია ქ. თბილისში, სპორტის სასახლის მიმდებარედ არსებული 65 კვ.მ ტერიტორიის იჯარით განკარგვა, შემდგომში ღია კაფის მოწყობის მიზნით, ამასთან, ღია კაფის მოწყობისას გათვალისწინებული უნდა იყოს ქ. თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის **№14-39** დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 35-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების მოთხოვნები.

მომხსენებელმა დასასრულს დასძინა, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია დაინტერესებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით

სარგებლობის უფლებით, **5 (ხუთი) წლით,** იჯარის ფორმით გადაცემა შპს „თ და კ რესტორნებისსაერთო საიჯარო ქირის წლიური საფასური - **15 840** (თხუთმეტი ათას რვაას ორმოცი)ლარის ოდენობით და საკითხის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სასურველია, პროექტის სათაურში მიეთითოს სიტყვები „საკითხის შეთანხმების" და აღნიშნული ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ–ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა **მარიამ კვერნაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, **ქალაქ თბილისში, ტაბიძის ქუჩა N9**-ის მიმდებარედ არსებული 20 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.05.074.018) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „აუსგანგისთვის" (ს/კ: 405147498) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, ელექტრონული განცხადებით მიმართა შპს „აუსგანგის" დირექტორმა და ითხოვა ქალაქ თბილისში, ტაბიძის ქუჩა N9-ის მიმდებარედ არსებული 20 კვ.მ მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა. აღნიშნული პირის სარგებლობაშია ქალაქ თბილისში, გალაქტიონ ტაბიძის ქუჩა N9-ში მდებარე N01.15.05.074.001.01.521, N01.15.05.074.001.01.506 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება 2023 წლის 18 მარტამდე ვადით.

მომხსენებელმა დეტალურად მოიუთითა, რომქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წერილობითი პოზიციით, ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის'' მიხედვით, განსახილველ ტერიტორიაზე ვრცელდება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) და აღნიშნულ ტერიტორიაზე ღია კაფის მოწყობაზე ნებართვის გაცემა სცილდება სამსახურის კომპეტენციის ფარგლებს, ხოლო, შესაბამისიფოტომონტაჟის მიხედვით, კი შენობის ფასადზე დაგეგმილ სამუშაოებიებთან დაკავშიბით, საკითხის განსახილველად საჭიროა, შესაბამისმა უფლებამოსილმა პირმა ელექტრონული განაცხადი უნდა წარადგინოს სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (www.tas.ge).

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის დასკვნით, მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2020 წლის 5 ივნისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 2 880 (ორი ათას რვაას ოთხმოცი) ლარი, რაც გათვალისწინებულ იქნა ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ, რომელმაც იმსჯელა და შესაძლებლად მიიჩნია დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 2023 წლის 18 მარტამდე ვადით, საიჯარო ქირის წლიური საფასურის 2900 (ორი ათას ცხრაასი) ლარის სანაცვლოდ, **შპს** „აუსგანგისთვის" გადაცემის საკითხის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა,

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სასურველია, პროექტის სათაურში გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი და განკარგულების პროექტის სათაური ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე **ლევან ჟორჟოლიანი**

სხდომის მდივანი **თამთა კაკოიშვილი**